645
1957

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 4 დეკემბერი 1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აქვთ:

დასვენების უფლება.

შრომის უფლება.

მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში.

განათლების უფლება.




ქალს ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლებები სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

კანონით უზრუნველყოფილია:

ბეჭდვის თავისუფლება.

სიტყვის თავისუფლება.

პიროვნების ხელშეუხებლობა.

მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა.

7402



# ი. ბ. სტალინი

აბრეშუმის ხალიჩა მოქსოვილი 1949 წელს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ქალთა ჯგუფის—თ. ელისაშვილის, მ. წიკლაურის, რ. ლუდუშაურის, კ. ნეფედეევას, რ. გეტიაშვილის და ი. წამალაშვილის შემადგენლობით.

მხატვრობა უ. ჯაფარიძის, ჩუქურთმები—დ. ციციშვილისა.

ყველა პროგრესული ადამიანი მხურვალედ ულოცავს საბჭოთა კავშირს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების წარმატებით გაშვებას, რაც საპლანეტათაშორისო მიმოსვლის ეპოქის დასაწყისს მოასწავებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერების მწვერვალებისაკენ

დღე იწურება, ჩამავალი მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ელავენ მრავალსართულიანი შენობების სარკმელები, კრემლის ცამდე აწვდილი ვარსკვლავები. მზე მისდგომია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის დარბაზის ფანჯრებსაც. დარბაზი სავსეა პროფესორ-მასწავლებლებით, მეცნიერი მუშაკებით, ასისტენტებით, სტუდენტებით. მათი ყურადღება მიპყრობილია კათედრაზე მდგომი ქალისაკენ, რომლის ახალგაზრდულ სახეს, ნაადრევ ჭაღარას და მშვიდ, ჭკვიან თვალებს კარგად იცნობს მრავალი აქ დამსწრე.

დარბაზს სული გაუნაბავს. მარტო კათედრაზე მდგომი ქალის ხმა არღვევს უჩვეულო სიჩუმეს, რომელიც მხოლოდ დაძაბული ინტერესის დროს დაისადგურებს ხოლმე ხალხმრავალ შენობაში. საინტერესო კი მართლაც ბევრი იყო. თუნდაც ისიც, რომ ეს იყო პირველი ქალი, რომელიც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას იცავდა სისხლის სამართლის დარგში. თემაც მეტად რთული და საინტერესო იყო. იგი ავტორისაგან მოითხოვდა არამარტო იურისპრუდენციის, არამედ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და სხვა დისციპლინების ღრმა ცოდნას... კათედრაზე მდგომი ქალი ნათლად, გასაოცარი ორატორული ხელოვნებით გადმოსცემდა თავის შეხედულებას სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის იმ ურთულესი საკითხების შესახებ, რომლებსაც მანამდე არცერთი საბჭოთა იურისტი სერიოზულად არ შეხებია. ტყუილად კი არ განაცხადა მაშინ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა გამოჩენილმა იურისტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ა. ტრაინინმა: «ეს დისერტაცია წარმოადგენს პირველსა და ჯერჯერობით ერთადერთ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც მიეძღვნა სისხლის სამართალში მიზეზობრიობის პრობლემის მარქსისტულ-ლენინურად გადაჭრის საკითხსო».

უამრავ შეკითხვაზე უხდებოდა დისერტანტს პასუხის გაცემა. მძაფრი შეკამათება თავის გუშინდელ მასწავლებლებთან, კოლეგებთან, და ეს საჯარო დისპუტი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა მეცნიერების ტრიუმფალურ ზეიმს.

აი დადგა კენჭისყრის დროც—ამაღელვებელი, ეჭვითა და იმედით სავსე წუთები, რომლისგანაც დამოკიდებულია ხანგრძლივი დაძაბული მუშაობის, თავზე დათენებული მრავალი ღამისა და ბიბლიოთეკებში დაღამებული დღეების ნაყოფის ბედი.



ასეთ წუთებში ძნელია მღელვარების დაოკება, მეცნიერი ქალის მშვიდი სახე შინაგან აფორიაქებას სრულებითაც არ გამოხატავდა, მაგრამ ოდნავ ათრთოლებულ თითებზე შეატყობდა დაკვირვებული თვალი, თუ რად უღირდა ქალს ეს თავშეკავება. მალე მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციამ მოიცვა, როცა გამოაცხადეს, რომ თინათინ ვასილის ასულ წერეთელს ერთხმად მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ა. ნ. ტრაინინი თავის აღტაცებას ვეღარ მალავდა.

* • *

ეს იყო 1949 წლის 28 ივნისს. ამ დღეს თინა წერეთელმა თავი სწორედ იმ მწვერვალზე იგრძნო, საიდანაც ათასი დაბრკოლების გადალახვით, შრომითა და წვალებით განვლილ გზასთან ერთად სულ უფრო გარკვევით მოჩანს წინ გაშლილი ბილიკები, მეცნიერების ახალი სიმაღლეებისაკენ რომ მიემართებიან. მეცნიერი ქალის გზა მდიდარი იყო მოვლენებით, შეხვედრებით, ადამიანებით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მისი საყვარელი მასწავლებლის, გამოჩენილი ქართველი იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გოლიათური ფიგურა.

ამ მრავალმხრივ განათლებულმა მეცნიერმა, გულისხმიერმა და გასაოცარი ტემპერამენტის მქონე ადამიანმა, რომლის მგზნებარება, ცოდნა და მჭერმეტყველება იმდენად იტაცებდა სტუდენტებს, რომ მისი ლექციების ჩაწერაც კი ავიწყდებოდათ, წარუშლელი კვალი დატოვა თინა წერეთლის ცხოვრებაში. მასთან შეხვედრამ გაუხსნა თავის დროზე ქუთაისელ გოგონას მომავალი ცხოვრების გზა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თინას განზრახული ჰქონდა საბუთები შეეტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ ამ დროს როგორღაც დაესწრო პროფესორ ლ. ანდრონიკაშვილის ლექციას, შთაბეჭდილება გასაოცარი იყო. აღფრთოვანებულმა ახალგაზრდა ქალმა გადასწყვიტა მთელი სიცოცხლე, მთელი თავისი ენერგია მეცნიერების სწორედ ამ დარგისათვის შეეწირა.

— ო, ეს გოგონა მწარედ იკბინება! — ხუმრობდა ხოლმე პროფესორი ლ. ანდრონიკაშვილი, როცა რომელიმე საკითხზე თინასთან შეკამათებული უფროსი ამხანაგები ბოლოსდაბოლოს იძულებული ხდებოდნენ ეცნოთ მისი არგუმენტებისა და ლოღიკის ძალა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თინამ მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის უმაღლესი სასამართლოს უფროს რეფერენტად, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს კონსულტანტად. ამასთან ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტის იურიდიულ განყოფილებაზე და კვლავინდებური გატაცებით განაგრძობდა მუშაობას პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან.

1944 წელს თინამ ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სარეცენზიო შრომა,—წერდა მაშინ ცნობილი იურისტი პროფესორი იროდიონ სურგულაძე, —ძალიან შორს იტოვებს უკან საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ შრომებს და მთლიანად სდგას იმ სიმაღლეზე, რომელიც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კარგად შესრულებულ მეცნიერულ გამოკვლევას ახასიათებს.»

მაგრამ თინამ კიდევ ხუთი წელი იმუშავა იმისათვის, რომ მეცნიერების სანუკვარ მწვერვალზე დაედგა ფეხი.

• • *

ქუთაისის უფასო საქალაქო ამბულატორიის გამგეს, ექიმ ვასილ წერეთელს ხუთი შვილი ჰყავდა. ერთი ადრევე გარდაეცვალა, დანარჩენი ოთხი კი, როგორც ნათესავ-მეზობლები ამბობდნენ, მართლაც, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულნი აღმოჩნდნენ. უფროსი ვაჟი გიორგი ცნობილი არაბოლოგი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია. ერთი ქალი ელენე—ექიმი ბაქტერიოლოგია, მეორე ბარბალე—ისტორიკოსი. დაძმას შორის თინა ყველაზე უფრო წყნარი და შეუმჩნეველი იყო. ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ეს ნაზი,

(გაგრძელება იხ. მე-14 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იგი შეჰხარის მზეს და სამშობლოს

მაღალი საკვამურიდან რძისფერი კვამლი ზანტად წამოიმართა და შორს, სადღაც ცის სილაჟვარდეში გაუჩინარდა.

დევივით ქშინავს ვეებერთელა ღუმელი, ქშუილით მოედინება ფოლადის ტალღა... სუნთქავს ქარხანა, ხმაურობს, ცოცხლობს მთელი სიცოცხლით...

ქშინავს მარტენის ღუმელი, შორს წვება ცეცხლის ჩრდილი... ფოლადის სხმულებით იტვირთება ორთქლმავალი.

— ცაცას, სიცოცხლე!

— ცაცას გაუმარჯოს!—გაისმა აქეთ-იქიდან.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ! – მხიარულად პასუხობს მათ ახალგაზრდა მემანქანე ცაცა მიბჩვიანი. სახეზე კეთილი ღიმილი უთრთის, თვალებში—სითბო, რა ახლობელია ეს ქარხანა ახლა მისთვის. ეს ადამიანები... ყველაფერი მისი სიცოცხლის განუყრელ ნაწილად იქცა... ორთქლმავალი ისევ გასრიალდა, წრე მოხაზა, და ბლუმინგის საამქროში მიიმალა.

რძისფერი კვამლი კვლავ ზანტად მიიმართება ზეცისკენ... მოედინება ფოლადის ტალღა... რა საოცრებაა! ცაცას წინაპრებს, სვანეთის ზვიადი მთების ბინადართ რომ ეხილათ ყოველივე ეს, როგორ გაოცდებოდნენ, ალბათ ჯადოსნურ ძალებს მიაწერდნენ ამ სინამდვილეს. ცაცა კი... სიყვარულით დასცქერის ფოლადის ტალღას და ამ ქარხნის დიდი სიცოცხლით ცოცხლობს. რა დრო გასულა მას შემდეგ, რაც მშობლიური სვანეთი და კლდეებში მიმალული კოშკი მიატოვა...

ახალი ცხოვრება ფრთებს შლიდა სვანეთში. დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს, წელიწადს წელიწადი გაჰყვა. ფერი იცვალა სვანეთმა. ფერი იცვალა ლავრენტი მიბჩვიანის ყოფამ. ცხრა შვილის მამა ახლა ლუკმაპურზე ფიქრით არ ფერფლავდა ღამეებს. ვეებერთელა ოდა გულის გასახარად წამოიმართა ლავრენტის ეზოში... ბავშვები სკოლაში წაიყვანეს. «ახალ ცხოვრებას ნასწავლი ადამიანები სჭირდებაო»,—უხსნიდნენ მას, «ისწავლონ, ისწავლონ»,—ფიქრობდა ლავრენტი,—«თუ ბედმა მე არ მარგუნა ეს ბედნიერება, დე, გაიხარონ ჩემმა შვილებმა»...

წლები წლებს გაჰყვა... ცაცა გულმოდგინედ სწავლობდა და ოცნებაში ელოლიავებოდა თავის ფარულ განზრახვას.

ომის ღრუბლები ჩამოწვა, გულს დარდი და სინანული ეწვია...

— მე შემიძლია,—განუცხადა ცაცამ რაიკომის მდივანს, როცა შვიდწლედი დაამთავრა,—რამე სასარგებლო გავაკეთო, გამომიყენეთ...—და მორიდებით გაუმხილა მას გულისნადები სვანმა გოგონამ...

გადაწყდა, ცაცა ორთქლმავლის მემანქანე უნდა გახდეს. სამტრედია საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. შემდეგ მემანქანის თანამდებობა ორთქლმავალზე, პირველი ნაბიჯები, პირველი წარმატებები და სიხარული...

საქმისადმი დიდმა სიყვარულმა, ერთგულებამ, ბუნებრივმა ნიჭმა შეაძლებინა ამ პატარა ქალს ვაჟკაცების მხარდამხარ ევლო.

წლებს წლები გაჰყვა... ცაცას ნუშის თვალებში ახალი სხივი ჩაუდგა. ქალური მოკრძალება კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მის ნატიფ სახეს.

მოვიდა სიყვარული, ბედნიერება, ერთგულება და სიამე ახლად შექმნილი ოჯახის.

წლებს წლები გაჰყვა. გაშენდა რუსთავი. ახალგაზრდებმა გამოსწიეს ახალი ქალაქისაკენ. აქ არის ცაცაც. ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ინიშნება მემანქანედ.

ახდა დიდიხნის ნაოცნებარი. რა დიდი საქმე დაეკისრა სვანეთიდან ჩამოსულ ქალს... ზოდსახდელ განყოფილებიდან ზედმიწევნით ზუსტად აწოდებს იგი ბლუმინგის საამქროს ფოლადს. ფრთხილად, შეუფერხებლად მიმოქრის მისი ორთქლმავალი, გეგმა ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება.

მთელს ამიერკავკასიაში გავარდნილა მისი სახელი.

დილით, როცა ცაცა თავის ბიჭუნას საბავშვო ბაღისთვის ამზადებს, მზეს და ჩვენს მომავალს შეჰხარის.

შორს ომი და სისხლისღვრა!

შორს ატომისა და წყალბადის იარაღთა საშინელი ხმაური.

მშვიდობა, მხოლოდ მშვიდობა! მის გუშაგად დამდგარან მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიები, კითხულობს მათ დეკლარაციას ცაცა და გული სიხარულით ევსება, ენერგია ზვავდება, მშვიდობას უმღერის ნაზი დედა და გულადი მემანქანე.



უზარმაზარი საკვამურიდან ზეცისკენ მიიწევს კვამლი, მოქშუის ფოლადის ტალღა, ცახცახებს ცეცხლის ჩრდილი, ხმაურობს ქარხანა, ფოლადი იწრთობა სამშობლოსათვის, მშვიდობისათვის—ამ დიდ საქმეს ემსახურება ცაცა მიბჩვიანის მტკიცე მარჯვენაც.

შ. თავბერიძე.

**ლია გოგიშვილი**

# გია

მოთხრობა

მხატვრობა **ც. ტერელაძისა**

გიამ კარგახანია შეამჩნია, რომ მათ ოჯახში ყველაფერი რიგზე არ არის. დედა ცდილობდა დაემალა, მაგრამ შვილი ხშირად ხედავ-და მშობელს ჩაფიქრებულს და ნამტირალევს. მამა კი... მამას გია ვე-ღარ სცნობდა. იგი არაჩვეულებრივად გამოიცვალა ყველაფრის მიმართ და განსაკუთრებით, შვილის მიმართ. არა, არა!. წინათ მამას გია ძა-ლიან უყვარდა. «გიქდება თავის გიაზეო»—ხშირად ესმოდა სხვებისა-გან.

გია და მამა განუყრელად ერთად იყვნენ და... ერთმანეთით ამა-ყობდნენ.

ახლა კი?...

რამდენი ხანია ერთად აღარ ყოფილან არსად, რამდენი ხანია აღარ უსაუბრიათ, არ უკამათიათ. რაღაც მოხდა, რაღაც შეიცვალა, ვერ გაერკვია, რა იყო ეს «რაღაც». მამა ყველაფერზე ბრაზობს, ცუდ ხასიათზეა, სახლში გვიან მოდის... და გიასაც კი თითქმის ვერ ამჩნევს. ამის გაფიქრებაზე საშინელ ტკივილს გრძნობდა ბავშვი და ვერ გაერ-კვია—ყველაფერი ეს ეჩვენებოდა თუ მართლა ასე იყო.

* * *

— რა მოგივიდა, გია, ვერ გამოიყვანე?—გამოაფხიზლა ფიქრე-ბიდან მეგობრის ხმამ.

— დამაცადე, მოვიფიქრო, —შუბლზე ხელი მოისვა გიამ და ძლივს მოიგონა ამხანაგთან სამეცადინოდ რომ იყო მისული.

«ნეტავი რა მოუვიდა, რამ გამოაყეყეჩა, გაკვეთილზეც ასე მოს-დის ხოლმე ამ ბოლო დროს»,—გაიფიქრა გელამ, მაგრამ მეგობარს არაფერი უთხრა.

«ხუთჯერ რვა უდრის...»—უკვე მერამდენედ უბრუნდება ერთსადა-იმავეს გია.

რვეულს დახედა. უცებ სკამიდან წამოდგა, თმები ნერვიულად გადაიწია და თავისი ნივთები მაგიდიდან აალაგა.

— სახლში გამოვიყვან... თავი მტკივა რაღაც...,

გელამ კარებამდე მიაცილა მეგობარი.

გიამ ღრმად ამოისუნთქა და ნელა ჩაჰყვა კიბეს.

«ხუთჯერ რვა... ხუთჯერ რვა... ხუთჯერ რვა...".

პირველ სართულზე ჩასული თავისი ბინის კარების გაღების ხმამ გამოარკვია. თავი ასწია. მამას შეეჩეხა პირისპირ. მოულოდნელობი-საგან შეკრთა, მამას სახე სულმთლად შესცვლოდა. შვილისთვის არც შეუხედავს, ჩქარა ჩაირბინა კიბეები და ქუჩაში გავარდა.

გია უცებ შეტრიალდა და ზარის ღილაკს ათრთოლებული თითი დააჭირა,

კარები დედამ გაუღო. მან ცრემლიანი თვალები მოარიდა შვილს.

* * *

ღამდება. ოთახში ბნელა. მხოლოდ საწერ მაგიდაზე ანთია ნა-თურა. გია მაგიდას უზის. ცალ ხელზე ლოყადაყრდნობილი ერთ წერ-ტილს მისჩერებია. ქვედა ტუჩი ოდნავ უთრთის. დროდადრო მის წინ სავარძელში მჯდომ დედას გადახედავს.

უცნაურად მოკუნტული და გარინდებული ზის დედა, იატაკს და-სცქერის. სახე ფერმკრთალი აქვს.

გია წამოდგა. ნელი ნაბიჯით მივიდა სავარძელთან.

ქალი შეინძრა, მაღლა აიხედა, შვილს გაუღიმა.

— დედი... უკვე თერთმეტი საათია, დავიძინოთ...—მერე დაბალი ხმით დაუმატა,—მამა იგვიანებს...

— ხო... შვილო, დავწვეთ...—აბნეულად წარმოსთქვა დედამ და ზეზე წამოდგა. მერე ნელა შემოტრიალდა და შვილს თვალებში ჩა-ხედა...

— მამა აღარ მოვა, გია...

ქალი მძიმე ნაბიჯებით ფანჯარასთან მივიდა. დარაბები მიხურა და ოთახიდან გავიდა.

დაბნეული გია ერთხანს სავარძელთან იდგა. შემდეგ თითები სა-ხეზე მოისვა, თითქოს რაღაც მოიშორაო, ტანსაცმელი გაიხადა და ცივ ლოგინში ჩაწვა.

მეორე ოთახში დედამ სინათლე ჩააქრო,

— ტიკ... ტაკ... ტიკ... ტაკ...—ისმის კედლის დიდი საათის ხმა და გიას ისე, ეჩვენება, თითქოს თავში ვიღაც ჩაქუჩს ურტყამს.

საათმა თორმეტი დარეკა.

ფიქრები ირეოდა გონებაში «მამა აღარ მოვა... აღარ მოვა».. თითქოს ვიღაცას აჯავრებსო, იმეორებდა თავისთვის.

«ნეტავი სად არის ის ახლა? საწყალი დედა... რა ვქნა, რა, ნუ-თუ ასე იქნება სულ?»—ბავშვს ბურთივით მოაწვა რაღაც ყელში.





ერთ ფიქრს მეორე მოჰყვა და ძაფივით გამოინასკვა.

— ტიკ,.. ტაკ... ტიკ.,. ტაკ...

გიას სუნთქვა შეეკრა. წამოჯდა. მთელ სახლში სიჩუმე გამეფებულიყო. ყური მიუგდო. მეორე ოთახში საწოლმა გაიჭრაჭუნა. ფრთხილად წამოდგა და ფეხაკრეფით გავიდა დედასთან, საწოლთან ახლოს მივიდა, დაიხარა და დააკვირდა.

დედას თვალები ფართოდ გაეღო, გაცრეცილ ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, ტირილის ხმა კი არ ისმოდა.

გიამ დედის წინ ჩაიჩოქა, ნაზად მოჰხვია ხელები. თვალები დაუკოცნა უხმოდ. ცრემლის მლაშე გემო იგრძნო.

— დედა... ნუ, დედა...

დედამ შვილს თავი მხარზე ჩამოადო და ხმამაღლა აქვითინდა.

ორივემ თეთრად გაათენა ის ღამე,

* * *

დაირეკა თუ არა უკანასკნელი ზარი, გიამ ჩანთას დასტაცა ხელი და შინისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. ეზოში მოთამაშე ბავშვებისათვის არც კი შეუხედავს, სახლის კიბეები სწრაფად აირბინა და სამზარეულოში შევიდა, იქიდან მეორე ოთახში შეიხედა.

არავინ ჩანდა...

— დედა!—ოდნავ ათრთოლებული ხმით დაიძახა.

არავინ გამოეხმაურა.

— დედა! დედიკო!—ახლა თითქმის იყვირა და თავის ოთახში შევარდა, ტახტის კუთხეში ჩამომჯდარი დედა ლონემიხდილი მიყრდნობოდა კედელს. სახეზე მიწის ფერი ედო. იქვე ცოცხი ეგდო.

გიას სახე აემღვრა, მთელი ტანი აუკანკალდა.

— დედა... დედა... რა მოგივიდა...

ქალმა თვალები გაალო.

— არაფერია, შვილო. რამ შეგაშინა. სულელო... გული ცუდად გამიხდა. ხომ იცი, სუსტი მაქვს...

თავს ძალა დაატანა. წამოდგა, ცოცხს დასწვდა, მაგრამ წაბარბაცდა.

გია შეეშველა, ბალიშებზე მიაწვინა.

მეზობლის ქალთან გაიქცა, სთხოვა, დედასთან შესულიყო ცოტახნით, თვითონ კი ქუჩაში გავარდა.

«წავალ, წავალ და ვეტყვი, რომ მე ყველაფერი ვიცი... რომ დედა ძალიან ავად არის. ვეტყვი, რომ არ მინდა დედა ტიროდეს,.. უბედური იყოს. მე მინდა ისე იცინოდეს. როგორც დეიდა ქეთო... ვეტყვი, რომ მე ისეთი მამა მინდა, როგორც გელას მამაა... რომ დედა ძალიან მეცოდება, ძალიან მიყვარს... ის კი... ის...“

აფორიაქებული გია უკვე მამის კაბინეტთან იდგა, აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს საიდანღაც შველას მოელოდა.

«ბოლოსდაბოლოს შევეხვეწები, ძალიან შევეხვეწები,—ფიქრობს გია,—რომ გახდეს ისეთივე, როგორიც წინათ იყო. ვეტყვი, რომ ძალიან მინდა დედა და მამა სულ ერთად იყვნენ, ყოველთვის ერთად,.. ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს ორივე... ორივე»,

გიამ ტანისამოსზე ჩამოისვა ხელი, საყელო გაისწორა, თმები გადაიწია და კარის სახელურს გაბედულად ჩაავლო ხელი.

მამა სავარძელში იჯდა, რაღაცას წერდა. კარის ხმაურზე თავი ასწია.

გია კარებს აეკრა, ოდნავ მოჭუტული, გაბოროტებული თვალებით შეაცქერდა საფიცარ მამას..,

მამამ შვილის თვალებს ვერ გაუძლო, წამოდგა, შემდეგ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შეყოყმანდა.

გიას ლურჯი თვალები საოცრად ჩამუქებოდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც მშობელი არ იცნობდა. მიხვდა—მის წინ უკვე ბავშვი აღარ იყო.

გია თვალს არ აცილებდა მამას, მერყეობდა, არ იცოდა რით დაეწყო.

სიჩუმე აუტანელი გახდა.

მამა შვილთან მივიდა და ხელი მხარზე დაადო:

— ავად ხომ არა ხარ... გია?—უხერხულად შეეკითხა და შვილის თმებს შეეხო.

გიამ ხელები უნუგეშოდ გაასავსავა.

— მე არა, დედაა ავად...—წაილუღლუღა ბავშვმა, მერე იქვე მდგომ სავარძელში ულონოდ ჩაეშვა და სახე ხელებში ჩამალა.

— გია, გია, შვილო!—გაბზარული ხმით ჩასძახა მამამ და შვილის სახე გულში ჩაიხუტა. გიას ლურჯი თვალებიდან ცრემლები წყვილ-წყვილად გორდებოდა და სადღაც, ნიკაპთან ქრებოდა.

შვილმა მამას ახედა, თვალებში აკიაფებული ცრემლი და კიდევ რაღაც უფრო დიდი რამ შენიშნა.

გიას მოაგონდა, რომ ბევრი რამ უნდა ეთქვა მამისათვის, მაგრამ აღარ იცოდა—უთხრა თუ არა ყველაფერი ის,. რისი თქმაც ახე ძლიერ უნდოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიმღერით იბადებოდა

ვლ. თორდუა

გაზაფხული იყო. ვიდექ ბექობზე და დავყურებდი მოლივლივე ლიახვს. ნაპირებზე ატეხილი ტალები ნიავზე რხევით მიესალმებოდნენ ერთმანეთს. აფეთქებული ჭერმისა და ატმის ფერად-ფერადი ყვავილები თოვლის ფანტელებივით აცვიოდნენ მდინარეს, და მოდიოდა, მოლივლივებდა ლიახვი ასე მოხატულ-მოჩითული. საიდანღაც ჩამოიჭრებოდნენ მოულოდნელად კუდმაკრატელა შავი მერცხლები, ზედ ჩემს ყურებთან ჩაიშურდულებდნენ, მერე ძირს დაეშვებოდნენ, დასწვდებოდნენ მდინარის ზედაპირს, დაეკონებოდნენ, თითქოს საკოცნელად, მოსტაცებდნენ ატმის ყვავილებს, ნარნარად გაჰყვებოდნენ მის დინებას და მერე ჰაერში აიჭრებოდნენ, გაფრინდებოდნენ...

ახლა სხვა არის. ახლა დეკემბერია. ლიახვს ეფრქვევა თეთრი ყვავილები—თოვლის ფანტელები. შენც გამოცვლილხარ, ლიახვო, და შენს ტალებსაც უცვლიათ ფერი!

თუმცა სხვა გარემოცვაში, მაგრამ მე დეკემბერშიც ვნახე გაზაფხულის სურათის ასლი. ვნახე იგი მინის მაღალთაღებიან, თვალმიუწვდომელ ნათელ კორპუსებში, მანქანების გრაგანში...

ბამბეულის საქსოვი კომბინატი ლიახვისა და მტკვრის შესართავთან, ომისშემდგომი ხუთწლედების პირმშო...

როცა საჩეჩ-საპენტი საამქროდან მოყოლებული შემოვიარე ყველა საფეხური, რასაც ბამბა გადის, სანამ იგი ფარჩებად იქცეოდეს, მე ერთ გიგანტურ კონვეიერთან შევდექი.

კონვეიერიდან იღვრებოდა ქსოვილის მდინარე. იგი ისე მოღელავდა და მონარნარობდა, როგორც ლიახვი. მასაც, როგორც ლიახვს იმ გაზაფხულზე, დაფრქვეოდა ფერადფერადი ყვავილები, ხოლო ზედაპირზე ხან აქ, ხან იქ «დაფრინდებოდა» მერცხლის გამოსახულება...

არ თავდებოდა ქსოვილის ეს მდინარება კონვეიერიდან, როგორც არ წყდება ლიახვის დინება.

მე ახლა ვამჩნევდი: კონვეიერის სამართავ პულტთან იდგა ახალგაზრდა ქართველი ქალი გაზაფხულის ფერის ხილაბანდით თავზე, გაზაფხულის ფერისავე წინსაფრით ლამაზ ჩითის კაბაზე. ლოყები უღვივოდა. მოუსვენრად ფუსფუსებდნენ მისი თეთრი, სავსე ხელები პულტთან, როგორც პიანისტის თითები კლავიშებზე. იგი სიყვარულით დასცქეროდა ყვავილდაფრქვეული, მერცხლების გამოსახულებიანი ქსოვილის მდინარეს. ისე მეჩვენებოდა, თითქოს იმ ახალგაზრდა ქალს ამოჰყავდა საიდანღაც მერცხლები, რომ ლაღი ფრენით გაეშვა ქსოვილის მდინარის ზედაპირზე.

დროდადრო ატმის ბაგე ეპობოდა და მეჩვენებოდა, რომ იგი მღეროდა, მაგრამ მანქანების ამ ხმაურში ძნელი იყო რაიმეს გარჩევა.

შორიახლო ვიდექი. ის მე ვერ მხედავდა. ნელა, ნელა და ბოლოს უზარმაზარ კორპუსში წამით, მოულოდნელად სიჩუმე ჩამოწვა... მხოლოდ წამით და ატმის ბაგეებს შერჩათ ჰანგი სიმღერისა:—გაფრინდი, შავო მერცხალო!..

კვლავ აგრაგანდნენ მანქანები, დატრიალდნენ ათასობით თითისტარები, აფუსფუსდნენ გაზაფხულის ფერის კაბიანი ქალიშვილები, კონვეიერებიდან უწყვეტ ნაკადებად მოლივლივებდნენ ქართული მიწის ყვავილებით და მერცხლებით მოჩითულ ნაირფერ ქსოვილთა მდინარეები, რომ ხალხში წაეღოთ სალამი გორისა ქართლის უბიდან.

...დავდივარ მოგუგუნე საამქროებში, საკუთარი გულისხმაც არ მესმის, მაგრამ არ იხშობა იმ «ატმის ბაგეებიდან» დარხეული ჰანგი სიმღერისა—«გაფრინდი, შავო მერცხალო».

სიმღერით იბადებოდა ქსოვილი, როგორც მდინარე, და მდინარესავით აკავშირებდა გორს ხალხთან.

---

**ომისშემდგომი ხუთწლედების პირმშოა** ი. ბ. სტალინის სამშობლო ქალაქ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი. მან პირველი პროდუქცია გორული მარკით 1954 წელს გამოუშვა. ახლა იგი 150—170 ათას მეტრ ქსოვილს იძლევა. გორული მარკის მარკიზეტი, შიფონი, ბატისტი, სატინა, ვუალექსტრა, ბამბაზია, ტიკლასტიკი მიდის ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში, რუსეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ლატვიაში, ლიტვაში...

კომბინატმა ოქტომბრის 40 წლისთავის დღესასწაულისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით 35 ათასი მეტრი ქსოვილი მისცა. გორის კომბინატი ეჯიბრება უკრაინის სსრ ხერსონის საფეიქრო კომბინატს მეტი და მაღალხარისხოვანი ქსოვილების გამოშვებაში.

გორის ბამბეულის კომბინატის მიდამოებში გაჩნდა ახალი მზარდი მუშათა დაბა. აშენდა შესანიშნავი ორ და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, კოტეჯები, კეთილმოწყობილი ქუჩები. მშვიდობის, ლენინგრადის, ფეიქრების, ლომონოსოვის, ბესიკის ქუჩები ნამდვილი ქალაქის სახეს აძლევენ მუშათა უბანს.

ამ სურათებზე აღბეჭდილია მუშაობის ზოგიერთი საფეხური, სანამ ქსოვილი კონვეიერიდან ჩამოვიდოდეს.

ფოტოსურათები შ. გოქაძისა.

# ასე იქმნება ქსოვილი...


1


2

აი პირველი პროცესი. აქ იპენტება მოძმე უზბეკეთიდან მიღებული ნედლეული — ბამბა. მრავალთა შორის ანა გასიევაც სიყვარულით მუშაობს ამ საქმეზე (სურ. № 1).

* * *

აქ კი იჩეჩება ბამბა. კომბინატში მრავალი ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ. საჩეჩ მანქანასთან არის უკრაინელი ეკატერინე ბანდიჩი (სურ. № 2).

* * *

საფთილე მანქანებთან ჩანჩქერებად ილვრება დამუშავებული ბამბა. მანქანასთან დგას ლაგოდეხელი ქალიშვილი, მოწინავე მეფთილე ნელი ქამუშაძე (სურ. № 3).


3


4

სართავი მანქანების სირთულეში მალე გაერკვა ნათელა ხადური (მარცხნივ) და მშვენიერი ოსტატი გახდა. ამ საქმეში მას ეხმარებოდა რუსი ამხანაგი, ცვლის ოსტატი ეკატერინე მუხოვა (მარჯვნივ) (სურ. № 4).

* * *

შემდეგ იწყება მოჩითვა და სხვა პროცესები, და ბოლოს კონვეიერებიდან მრავალნაირი ქსოვილი გადმოდის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გულის გასახარად...

* * *

ძაფი არის! იწყება ქსოვა. საქსოვ დაზგებთან თავდადებით მუშაობენ ქართველი გოგონები: ლენა სალარიძე (სურ. № 5) და ეთერ ახკილაშვილი (სურ. № 6).


5


6

ეროვნული ბიბლიოთეკა




მარია მაიეროვა

მხატვარი რ. თარხან-მოურავი

მარია მაიეროვა თანამედროვე ცნობილი ჩეხი მწერალი ქალია. დაიბადა 1882 წელს. მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა მ. გორკიმ. მ. მაიეროვა მრავალი წიგნის ავტორია. მათ შორის საბავშვო მოთხრობებისა, რომლებშიც მწერალი ქალი აღწერს ბავშვთა მძიმე მდგომარეობას ჩეხოსლოვაკიაში, ვიდრე იქ სახალხო დემოკრატიული წყობილება დამყარდებოდა.

— დედილო! რაა სახლში რომ სულ არა ხარ ხოლმე,—ტიროდა პატარა ფერდიკა.

— ახლაც უნდა წავიდე, შვილო, — ეუბნებოდა სტრნადოვა.

— რათა?—არ ეშვებოდა ფერდა.

— რას წუწუნებ, მტირალავ და გლახავ, დაგილია ხახა...

— დამილია ხახა, დიახ! მთელი დღე არა გხედავთ და სულ მოწყენილები ვართ... არა, მილკო?!...

ახლა უფროსმა დამ მილადკამ ჩაურთო საზრიანი სიტყვა. შვიდი წლისა იყო, მაგრამ ჭკუა ქვეყნისა ჰქონდა.

— დედიკომ უნდა იმუშაოს, თორემ რძესა და კარტოფილს ვინ მოგვიტანს?

ეს უკვე ისეთი საბუთი იყო, რომ ფერდიკამ სიტყვის შებრუნება ვერ მოახერხა.

სტრნადოვა ბავშვებს მთელი დღით ოთახში ჩაკეტილებს სტოვებდა ორნი რომ იყვნენ, თამაშობით და ლაპარაკით ერთმანეთსართობდნენ.

მეზობლისას კი უარესი ხდებოდა. იქ ერთად-ერთი გოგონა ჰყავდათ და იმასაც მშობლები მარტოდ-მარტოს სტოვებდნენ ხოლმე ლოგინში. მერე შევიდოდა მეზობლის ქალი, ბავშვსააყენებდა და ზღურბლზე დასვამდა. კარები ეზოში გადიოდა, ბავშვს აქედან ქათმებზე უნდა სჭეროდა თვალი, ლაპარაკს და სიარულს გოგონას არავინ ასწავლიდა. დილით აჭმევდნენ და წავიდოდნენ. საღამოზე კიდევ აჭმევდნენ და დააძინებდნენ. ბავშვი მთელი დღე კარებში იჯდა, ქათმებს თვალს ადევნებდა და ქანქარასავით აქეთ-იქით ქანაობდა. სკოლის ასაკს გოგონამ ისე მიაღწია, რომ ამის მეტი არაფერი გაეგებოდა რა. მერე კი ეს ყველას აოცებდა.

რა ექნა მის დედას, თუ მთელ სოფელში ერთი საბავშვო ბაღიც არ მოიპოვებოდა? სამუშაოზე ხომ უნდა ევლო? კიდევ კარგი, რომ სამუშაო ჰქონდა.

სტრნადოვას ბავშვები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ... მართალია, ზოგჯერ ბავშვებს ერთმანეთში ჩხუბიც მოსდიოდათ, მაგრამ მეტწილად მშვიდად თამაშობდნენ. მილადკა ცოტ-ცოტა საქმესაც უძლვებოდა. მას შემდეგ, რაც მილადკამ სკოლაში სიარული დაიწყო დედა ბავშვებს სახლში აღარ კეტავდა. მათ კარში გამოსვლაც შეეძლოთ, ზოგჯერ საბავშვო მოედანზეც გამოცვივდებოდნენ ხოლმე ტოლებთან სათამაშოდ.



სტრნადოვა ყოველთვის ალიონზე გადიოდა სახლიდან. ზამთარში ხომ სამუშაოზე წასვლა უთენია უხდებოდა. მისი წასვლის შემდეგ ბავშვებს ცოტახანს კიდევ ეძინათ ხოლმე. ზაფხულში კი მილადკა ლოგინში აღარ ჩერდებოდა, დედის წასვლისთანავე ადგებოდა, ცელქობდა ან მეცადინეობდა. ფერდიკა მას სკოლის წინ ელოდებოდა ხოლმე.

ერთხელ, როცა სკოლის ზარი დაირეკა, ფერდიკას მოსწავლე ბავშვების ერთხმად ატეხილი ჟრიამული მოესმა, მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც ამბავია: მთელი სკოლა აფორიაქებული ფეხზე იდგა და ფუტკარივით ზუზუნებდა.

მასწავლებელი კლასში შევიდა. მას საზეიმო განწყობილება ემჩნეოდა და სწორედ ისე გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, როცა ინსპექტორს მოელოდა ხოლმე.

გაკვეთილის დამთავრებამდე მას ბავშვებისათვის არაფერი გაუმხელია. პირველკლასელები რაღაცის მოლოდინში იყვნენ და გაკვეთილს გულაცრუებულნი უსმენდნენ. მასწავლებელს ხელთ გრძელი ჯოხი ეჭირა, მაგრამ დღეს მას თითქოს ვერც ამჩნევდა, სხვა დროს მაგიდას ისე დაარტყამდა ხოლმე, რომ ბავშვებს უმალ ხმას ჩააკმენდინებდა.

და ბოლოს:

— დღეს, შუადღისას,—დაიწყო მასწავლებელმა,—სოფელში კინოსურათი ჩამოაქვთ და მამასახლისიანთ ეზოში დგამენ, სეანსი დაბინდების შემდეგ დაიწყება.

მასწავლებელმა ბავშვები გააფრთხილა ჭკვიანად ყოფილიყვნენ და, რაც მთავარია, არ იცელქოთო, ისიც გამოუცხადა, რომ შესასვლელი ბილეთები მოწაფეებისათვის ოცი ჰალერი ეღირებოდა.

ზარი დაირეკა.

ბავშვები წამოცვივდნენ. ატყდა ხმაური და ყველანი ისე ერთბაშად გაიფანტნენ, გეგონებოდათ სათესლე პარკი გასკდა და მარცვლები დაიბნაო, მილადკამ ფერდას ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკენჭა:

— კინოში სურათებს აჩვენებენ. ყველაფერი ცოცხალივით იქნება. ცხვრები მთაში, ავტომანქანები, თვითმფრინავები, ზღვა, მერე პრაღასაც გვაჩვენებენ, ნამდვილ პრაღას, ერთი თვალის დახამხამებაზე ამდენ რამეს ვნახავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. გუდიაშვილი — ფიროსმანის პორტრეტი

ფიროსმანი — ეს თავისებური ორიგინალური შემოქმედი, განსაკუთრებული მოვლენა ქართული მხატვრობისა, დაიბადა 1893 წელს სოფელ მირზაანში (ქიზიყში). მას უბედობა იმ თავითვე დაყვა. ადრე იგემა ობლობის სიმწვავე, უსახლკარობა, მოჯამაგირის დამცირებული ხვედრი.

რა არ განვლო, რა არ განიცადა, რას არ მოჰკიდა ხელი მომავალმა დიდმა მხატვარმა?!... ერთხანს რკინიგზაზე მუშაობდა, ერთხანს ვაჭრობაც სცადა, მაგრამ არ გაუმართლდა, გაკოტრდა... უარყო, ხელი აიღო ყველაფერზე და მთლიანად მიჰყვა მხატვრობას, რომლისკენაც ბავშვობიდანვე მიილტვოდა. მიენდო ხელოვნებას და სიკვდილამდე მის უანგარო მსახურად დარჩა... კვლავ მათხოვრული ცხოვრება, ლუკმაპურისთვის გულისწამლები ფიქრი და რაღაც გროშებზე დაკარგული ნაწარმოები... „საწყალი ნიკალა“, ასე ეძახდნენ მას მეგობრები, უბნის ღარიბ-ღატაკნი, „საწყალი ნიკალა“... და ღამდებოდა დღეები:

ხარდაფებში,

მედუქნეებთან...

ცალ ხელში ჭიქით, ცალ ხელში ფუნჯით... და იხატებოდა საქართველოს ცა, გულმართალი კაცის ხელით ნაქანდაკარი. ნიკო ფიროსმანს არც მასწავლებელი ჰყოლია და არც გზის გამკვლევი. მას წინ უძღოდა მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭი და შთაგონება. იგი თვით იმზადებდა ჭვარტლის, კირის და სხვადასხვა იაფი მასალისაგან საღებავებს, და წერდა:

მუშამბაზე,

ფიცარზე,

იშვიათად ტილოზე. წერდა გატაცებით, მთელი გრძნობით და თუ მისი პირველი ცდები აკადემიური მხატვრობის თვალსაზრისით უსუსური ჩანს, თანდათან ვითარდება შემოქმედების ისეთ ნიმუშებამდე, რომელთა ბრწყინვალე ოსტატობას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

სიყვარული სამშობლოსა და ქართველი ხალხისადმი, დიდი სიყვარული ასულდგმულებდა ფიროსმანს. როგორც ხალხის პირმშო, ის ღრმად გრძნობდა და ფაქიზად განიცდიდა ხალხის სიხარულსა და ვარამს. ამიტომაც დაუხატავს თავის რიცხვმრავალ სურათებში უბრალო ადამიანთა შრომისა და ყოფის ამსახველი სინამდვილე. რთველი, კალო, პურის ცხობა, ქეიფები და მრავალი სხვა თვალწინ გვიშლის მშრომელი კაცის სამყაროს. ფიროსმანის ასახვაში ყველაზე ნიშანდობლივია სცენების, კერძოდ ლხინისა და ქეიფის, როგორც ხალხური ყოფის განუყრელი ნაწილის ჩვენება. სწორედ ამ სცენებში გამოსჭვივის ხალხის ცხოვრების „ფიროსმანისეული“ ცოდნა, იგი სამყაროს ხატავდა ისე, როგორც ამას თვით ხედავდა და განიცდიდა..

ძველი თბილისი, ძველი ქალაქური ყოფა, სპეციფიკური მოვლენებით, პერსონაჟებით შესულა ფიროსმანის თემატიკაში. კინტოს, ორთაჭალელი „ტურფების“, მეშეშე ბიჭის (სახედრით), თბილისელი მეეზოვისა და ცალკეულ პირთა პორტრეტების უაღრესად ტიპიური ასახვა მოუცია ამ გასაოცარ შემოქმედს.

საინტერესოა ფიროსმანის შემოქმედებაში მდიდართა და ღარიბთა სოციალური დაპირისპირება. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დიდი ტილო „უშვილო მილიონერი და შვილებიანი ღარიბი“, „წყაროზე მიმავალი გლეხის ქალი ბავშვებით“, მდიდარი კინტოს შვილი“ და სხვა.

დიდი შემოქმედის საყვარელ ჟანრს ცხოველების გამოსახვა წარმოადგენს. სწორედ აქ არის ფიროსმანი ორიგინალური და შეუდარებლად ძლიერი. მისი შვლის, ირმის, ლომის და გარეული ტახის თვალების გამომეტყველებაში იმდენი სიცოცხლეა, იმდენად ოსტატურადაა მათი სხეული ჩამოსხმული, რომ თითქოს მათ სუნთქვასაც კი გრძნობთ.

ნიკო ფიროსმანს თავისი შემოქმედების ფონად საქართველოს ბუნება გადუშლია, ბუნება, მარადის ცოცხალი და მშვენიერი, რომლის ტრფიალში მან არ იცოდა ზღვარი.

მისი ასახვის მანერა პირობითია; სწორედ ეს პირობითობა აძლევს ამ ხელოვანს განსაკუთრებულ ინდივიდუალურ ელფერს. იგი ლაკონიური და უაღრესად ხატოვანია. თავის საუკეთესო ტილოებში ფიროსმანს დაცული აქვს სიბრტყობლივობა — დამახასიათებელი ყოველი პრიმიტიული ფერწერისათვის. ფიროსმანის ფიგურები სტატიკური და მონუმენტურია, ფიგურების განლაგება ოსტატური, საერთო კომპოზიციურ გადაწყვეტას დამორჩილებული. კომპოზიციური მთლიანობის დასაცავად ხშირად არღვევს საგნების ბუნებრივ პროპორციებს და ამით კომპოზიციების უდიდეს დასრულებლობას აღწევს. (მაგალითად, მისი ნატურმორტები).

ნიკო ფიროსმანის სურათებში ყველაზე მომხიბვლელი კოლორიტი, ფერების შეხამების ოსტატობაა. ეს კოლორიტი ყოველთვის ინტენსიურია, ფერები სუფთაა და მჟღერი: მუქს, ხშირად შავ ფონზე თეთრი სილუეტის მქონე, ან პირიქით, ღია ფერის ფონზე შავსილუეტიანი ფიგურებია და სწორედ ამ თეთრისა და შავის კონტრასტით ჰქმნის მხატვარი მისთვის დამახასიათებელ სიმკვრივეს. ფერი ერთიანია, მთლიანი, ზომიერად მოდელირებული, ამასთანავე მოცულობები მკვეთრად გამოვლენილი. მისი პალიტრის ძირითადი ფერებია: ინტენსიური სუფთა ლურჯი, წითელი, ცისფერი, ყვითელი და მწვანე. შესანიშნავია, რომ ამ ჭეშმარიტი ხელოვანის კომპოზიციები ანალოგიებს პოულობს ქართულ ნაქარგთან, ხალხურ სათამაშოებთან და ძველ ქართულ ფრესკებთან, რაც დიდ როლს თამაშობს მისი შემოქმედების აღქმაში. მხატვრის კომპოზიციებს წარმტაცი თხრობითი ხასიათი აქვს.

ფიროსმანის შემოქმედება ჭეშმარიტად ხალხურია. მხატვარი ქართველი ხალხისათვის გასაგებად, გულში ჩამწვდომად ხატავდა და სწორედ ეს ხალხურობა განასხვავებს ფიროსმანს დასავლეთ ევროპის პრიმიტივისტ მხატვრებისაგან, რომელთა პრიმიტივიზმი ხელოვნური და არაგულწრფელია.

ნიკო ფიროსმანი სრულიად თავისებური მხატვარია, რაც ნაწილობრივ მისმა თვითნასწავლობამ განაპირობა. მას ფერების არაჩვეულებრივი შეგრძნობა და დახვეწილი კოლორიტი აქვს, მაგრამ ყველაზე მომხიბლავი და მიმზიდველი მის შემოქმედებაში ის შეურყვნელი უშუალობაა, რომელიც დღესაც ასე აჯადოებს მნახველს.

ლელა შანიძე.




## მეეზოვე

ფიროსმანის მეეზოვემ ბევრთათვის ნათელჰყო პრიმიტივისტ-მხატვართა შემოქმედების აზრი და სიდიადე. „ვიხილე ფიროსმანი და ვირწმუნე რუსოო" (ანრი რუსო)—უთქვამს დიდ ავსტრიელ მწერალს სტეფან ცვეიგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა თ ვ ი
მთვარიან ღამეში





საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წყაროზე მიმავალი გლეხის
ქალი ბავშვებით



უშვილო მილიონერი და
შვილებიანი ღარიბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებგაფართოებული უსმენდა მას ფერდიკა.

— შესვლა შეიძლება?

— შეიძლება, ბავშვები ოც-ოც ჰალერს იხდიან. სკოლასთან უნდა შევიკრიბოთ.

ბავშვები შინ დაბრუნდნენ. დაეტანენ ყავას, პურს და ისეთი გატაცებით შეექცეოდნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს როგორ კენკავდა მამალი კვლებში ახლად ამოსულ მუხუდოს.

— მერე... მილკო,—უცებ გაახსენდა ფერდას.—ორთავემ სად უნდა ვიშოვოთ ოც-ოცი ჰალერი?

სტრნადოვს ფული არასოდეს არ ჰქონდა, მემამულესთან მეეტლედ იყო და ჯამაგირს წელიწადში ერთხელ, საშობაოდ, იღებდა. დანარჩენ ხელფასს ხორბლის, რძისა და კარტოფილის სახით აძლევდნენ. მისი მეუღლე, სტრნადოვა, სამუშაოდ მემამულესთან დადიოდა, მაგრამ ფული რომ დასჭირვებოდა, უნდა რამე გაეყიდნა, ქალი ჩვეულებრივად შინაური დედლის კვერცხებს მედუქნეს მიჰყიდდა ხოლმე.

დაღონდა მილადკა, არ იცოდა რა ექნა. დედიკო გვიან მოვიდოდა, როცა კინო უკვე დამთავრებული იქნებოდა.

ფერდიკაც ჩაფიქრიანდა—რა ვქნა?

დეიდა ვევერკოვასთან წასულიყო სათხოვნელად?!

არა, ვერ მიბედავდა. თამაშობის დროს ინდიელებს ბაძავდა და მათ მამალს რაც კი ლამაზი ფრთა ჰქონდა სულ სათითაოდ გააცალა.

ნათლია რჟიხოვასთან წასულიყო?!

მას ახლოს ვერ გაეკარებოდა. დიდიხანია ის თვითონ დაეძებდა ფერდას, უნდოდა სამაგიერო გადაეხადა კატის გულისთვის, რომელსაც ფერდამ ქვა მოარტყა.

ამოიოხრა პატარამ, თან გუნებაში გადასწყვიტა მუდამ წესიერი ყოფილიყო და მთელ სოფელში არცერთი დეიდა აღარ გაეჯავრებინა, თორემ მილადკა ისეთი მორცხვი იყო, რომ სათხოვნელად არავისთან წავიდოდა. რანაირი გოგოა! ისევ თვითონ უნდა ეცადოს რამეს, თორემ...

დრო მიდიოდა. ერთი კარგი რჩევა ბავშვებს ძვირად ულირდათ. რა იქნებოდა რომელიმე მათგანს საკუჭნაოში შეეხედა, იქ დედის გადანახული კვერცხები ან ხაჭო გამოეტანა და მედუქნისათვის მიეყიდა.

მაშ იერიში საკუჭნაოზე!

მაგრამ დედა ფრთხილია—საკუჭნაო დაუკეტია, ფანჯრიდან კი ფერდა შიგ ვერ სწვდება... ახლა ეს უშლის ხელს.

დაღონებული შეჰყურებდა ბიჭუნა მოსეირნე ქათმებს.

ერთ-ორ ნაბიჯს გაივლიან და კაპ... კაპ... ცოტას კიდევ და კაპ.. კაპ... ყელმოღერებულნი დადიან, სულ რაღაცას ქექავენ, კენკავენ, კვერცხებს კი ცოტასა სდებენ...

იქნებ რომელიმემ დასდო კვერცხი?

რა კარგი იქნებოდა... მედუქნე იყიდდა, უსათუოდ იყიდდა.,. საქათმეში არაფერია, მაგრამ დრო კიდევ საკმარისია. საღამომდე იქნებ დასდოს რომელიმემ კვერცხი?!

ფერდა ამ აზრმა ისე გაახარა, თითქოს ოქროები ეპოვნოს. ახლა კი დასდევს ქათმებს, იყვანს ხელში, სინჯავს. საქათმეშიც ბზე სულ გადაქექა, მაგრამ ვერა ნახა რა.

ფერდა უჯავრდება ქათმებს, ემუქრება:

— არა სდებთ კვერცხებს განა, თქვე მატყუარებო?!

სათითაოდ იჭერდა მათ, ხელით კვერცხს უსინჯავდა და აწიოკებულ, აკრიახებულ ქათმებს ისევ უშვებდა.

ფერდას იმედები უქარწყლდებოდა, დრო კი მიდიოდა, ბინდდებოდა, ქათმებმა საქათმისაკენ იწყეს დენა: ერთი მეორეს მისდევდა ქანდარაზე დასაბუდებლად.



ახლა კი ალბათ დასდებენ! ერთმა მათგანმა მაინც დასდოს... მარტო ჩემთვის მაინც!

— მილადკო, უგდე ამათ ყური, წავალ, ვნახავ რა ამბავია სკოლაში.

სკოლა ფერდობის მეორე მხარეზე იყო, მაგრამ ფერდიკა ფრთებშესხმულივით მიჰქროდა.

შეძვრა თუ არა მილადკა საქათმეში, მაშინვე შორიდან ფერდას ძახილი მოესმა:

— მილადკო, დასდო?

მილადკამ ხელის გულები საყვირივით მოიმარჯვა და საქათმიდან გაჰყვირა:

— ჯერ არა-აა!

კვლავ მირბის ფერდიკა, უკვე ზემოდან დასცქერის სკოლას. მოწაფეები მწყობრში დგებიან. ფერდიკა ისევ მოტრიალდა, ფერდობზე აირბინა და მაღლიდან კიდევ გადმოსძახა:

— მილკო, დასდო?

ბუმბულში ამოგანგლული მილადკა აფორიაქებულ ქათმებს შორის გაჩერებულიყო და იქიდან უპასუხებდა:

— ჯერ არა-ა-ა!

ფერდიკა ისევ სკოლისკენ გაემართა. მოწაფეები კინოში რიგრიგობით შედიოდნენ. სახლებსა და ბაღებს შორის ბინდი წვებოდა. ბედნიერი ბავშვები, ვისაც ოცი ჰალერი აღმოაჩნდა, ბილეთებს ყიდულობდნენ. მხოლოდ ფერდას არა აქვს არაფერი... ვერ ყიდულობს ბილეთს... მარტო ფერდა ვერ ნახავს ავტოს, თვითმფრინავს, ზღვას და პრაღას. ვერც მილადკა ნახავს ავტოს, მაგრამ მას უიმისოდაც არა უშავს. სკოლაში ხომ დადის, იქ ყველანაირ ნახატებს ხედავს... ფერდა კი არაფერს ..

ფერდამ ლამის ტირილი დაიწყოს, ახლა უკანასკნელად, ერთხელ კიდევ აირბინა ფერდობზე და ერთხელ კიდევ გადმოსძახა მილადკას:

— მილადკო, კიდევ არ დასდო?

მთლად გაწეწილი მილადკა საქათმიდან გამოძვრა და ისევე უპასუხა:

— ჯერ არა-ა-ა-ა!

ფერდა ისარივით დაეშვა მამასახლისიანთ ბოსლისკენ. ბავშვები შესულიყვნენ. კარები დაკეტილი იყო. კარებთან სოფლის პოლიციელი იდგა და ფერდას ახლოსაც არ უშვებდა, ნებას არ აძლევდა, რომ ჭუჭრუტანიდან მაინც მოეკრა თვალი სურათისათვის.

— ბიჭო, მოშორდი აქაურობას! აქ დგომა სასტიკად აკრძალულია!...

დაღვრემილი ფერდიკა შინისაკენ წამოვიდა. ფერდობი აქვს გადმოსასვლელი, მაგრამ ახლა ეს მეტად დაქანებული ეჩვენება, გზაც ცუდი საvლელი. სახლის წინ მილადკა ელოდება.

მილადკას. ახლა უკვე უკან მიაქვს თავისი სიტყვები, ჯავრს უქარწყლებს ფერდიკას:

— გაჩუმდი, ტუტუცო! იქნებ სურათები სულაც არ იყოს კარგი, იქნება მანქანები არც კი აჩვენონ!

ფერდიკა კი თავს სხვანაირად ინუგეშებდა:

— როცა გავიზრდები, პრაღაში წავალ, ჩემი მანქანით ვივლი, და თვითმფრინავით ვიფრენ... ყველა ღარიბ ბავშვს კინოში სულ მუქთად შევუშვებ.

როცა დედა გვიან ღამით სახლში დაბრუნდა, ნახა, რომ ფერდიკას მუშტებდაკუმშულს ჩასძინებოდა.

**თარგმნა ჩეხურიდან**

**ელენე ერისთავმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა შემოქმედი

პირველი ქართველი პროფესიონალი რეჟისორი ქალი—ლილი იოსელიანი საზოგადოებამ 1947 წელს გაიცნო, როცა მან რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში დადგა სადიპლომო სპექტაკლი—მ. ალიგერის «ზღაპარი სიმართლეზე». სპექტაკლმა მსწრაფლ მოიპოვა მაყურებელთა სიმპათია. დიპლომანტმა ღრმად და სიმართლით გახსნა პიესის შინაარსი, მისი იდეა და ახალგაზრდა მსახიობებთან სერიოზული მუშაობით შექმნა საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების ძლიერი, მიმზიდველი სახეები და მასთან ოპტიმისტური და ორიგინალური ფინალი მოუძებნა სპექტაკლს. ეს სპექტაკლი იყო სიცოცხლისა და სამშობლოსადმი სიყვარულის ჰიმნი, დაუვიწყარი სიმღერა გმირების უკვდავებაზე.



პირველივე დადგმიდან ნათელი გახდა, რომ რეჟისორისათვის სპექტაკლში მთავარია ადამიანი თავისი შეგნებული სიცოცხლით და სასარგებლო საზოგადოებრივი საქმიანობით.

ამ მოსაზრებით ლ. იოსელიანმა აირჩია თავის სადებიუტო სპექტაკლად კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ვ. გაბისკირიას «გაზაფხულის დილა». ლირიკულ პიესას ახალგაზრდა რეჟისორმა შესაფერი სცენიური ფორმა მოუძებნა და შესანიშნავადაც განახორციელა.

პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით იყო გამთბარი ი. გალანის პიესის «სიყვარული გარიჟრაჟზე» დადგმა. ლ. იოსელიანმა ამ დრამის ღრმა სოციალური გახსნით მოგვცა პოლიტიკურად მახვილი და ამაღელვებელი სპექტაკლი.

ახალგაზრდა ავტორთან რ. თაბუკაშვილთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გზით ლ. იოსელიანმა შექმნა «გაზაფხულის ნიაღვარი» («რაიკომის მდივანი»)—ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი თანამედროვე თემაზე.

ადამიანისათვის, ადამიანურ უფლებათა მოპოვებისათვის ბრძოლაა მთავარი იდეა ბერნარდ შოუს «პიგმალიონში». რეჟისორმა ლ. იოსელიანმა სწორედ ეს ამოიკითხა შოუს პიესაში და მის ქვეტექსტებში. მან ხაზი გაუსვა პიესაში აღწერილი ამბის სოციალურ მხარეს და მით შესძლო ეჩვენებინა ავტორის დიდი ჰუმანიზმი.

ლილი იოსელიანის ახალი შემოქმედებითი წინსვლა იყო მ. გორკის პიესის—«ფსკერზე»—დადგმა.

«ყველაფერი ადამიანშია, ყველაფერი ადამიანისთვისაა, არსებობს მხოლოდ ადამიანი და სხვა ყველაფერი მისი გონებისა და მარჯვენის ნამოქმედარია—«თაყვანი ეცით ადამიანს!»—სატინის ამ სიტყვებშია გორკის პიესის დედააზრი, და სწორედ ეს სიტყვები გახდა ამოსავალი წერტილი რეჟისორისათვის პიესის სცენიური განხორციელების საქმეში. ლ. იოსელიანის მიზანი იყო ამ სპექტაკლში ეჩვენებინა ცხოვრების ფსკერზე მოხვედრილ შეურაცხყოფილ, დამცირებულ ადამიანთა რომანტიკული სახეები და უნდა ითქვას, რომ მან ეს შესძლო. სპექტაკლის წარმატება განაპირობა რეჟისორის მიერ სახეთა სწორმა გაგებამ, შემსრულებელთა მიგნებულმა შერჩევამ და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ირინა შტენბერგის მხატვრობამ.

მ. გორკიმ თავისი პიესა ამგვარად დაამთავრა: შემოდის ბარონი და აცხადებს: აქტიორმა თავი ჩამოიხრჩოო. ყველანი სიმღერას წყვეტენ და ერთ ადგილას გაქვავდებიან. სატინი ამბობს:—«ეჰ, სიმღერა გაგვიფუჭა, სულელი!»

რეჟისორმა სპექტაკლში ფარდა აქ როდი დაუშვა.

ამ სიტყვების შემდეგ სატინი წამოხტება და გარეთ გარბის—ალბათ, აქტიორის სანახავად. მას გაყვება ყველა, ნასტიას გარდა, რომელიც ბარონთან ერთად შემოვიდა და სცენის სიღრმეშია გაჩერებული. ნასტია უსიტყვოდ მიდის წინ, ბოთლებით სავსე მაგიდასთან, თითქოს სურს ბოლმის გასაქარვებლად ჩვეულებისამებრ გადაჰკრას, მაგრამ მას სხვა



ნასტია—ც. პეტრიაშვილი

---

ჯანსუღ ჩარკვიანი

## დ ე დ ა

იასამნები როცა აფეთქდებიან,
როცა ყველა იას ახლავს ნაზობა,
თეთრი იასამნები გიღიმიან საფეთქლებიდან
და გახსენებენ ახალგაზრდობას.
ყველა კაეშანს, ყოველგვარ წუხილს,
სიბერისაკენ გზა რამაც გასწავლა,
ვთხოვ პატიებას მოყრილი მუხლით,
პატიებას ვთხოვ საფეთქლებთან თეთრ
იასამანთ.

მე—შენი დარდი, მე—შენი სევდა,
მე—ვინც ამ ქვეყნად მართლა დაგღალა,
როგორ გიხდება ჭაღარა, დედავ,
მაგრამ რა უნდა შენთან ჭაღარას?
შენ—ჩემი დედა, შენ ჩემი რწმენა,
მე—შენი დარდი და დიდი სევდა,
აუტანია ჭაღარა წერას...
მაინც გიხდება ჭაღარა,' დედა.

სთქვი და სამყაროს ჩავიდგამთ მკერდად,
სთქვი და ზამთარში მოგიყვანთ მერცხალს,
სთქვი და ჩადგება გრიგალი, დედავ,
იის თვალებით შეგხედავს ზეცა.
სთქვი და—გულიდან სტვირი გავთალო,
ზედ გიმღერებდეს სამყარო ვრცელი:
— იცოცხლე ქვეყნად, დედავ მართალო,
და არ გენახოს ომი და ცრემლი.

# მთქმელი ქალები

## ბარბალე მინდოდაური

შემოქმედებითი ნიჭი და ლაღი ფანტაზია ოდითგან ამშვენებდა ოჯახის ბურჯსა და სამშობლოს მოამაგე ქართველ ქალს...

საქართველო განთქმული იყო პოეტი, მომღერალი და მოცეკვავე ქალებით, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ეროვნული კულტურის შექმნისა და დაცვის საქმეს.

ქართველი ქალების წყალობით ბევრი მხატვრული თუ ისტორიული ძეგლი შემორჩენია შთამომავლობას. განა ქართველი ქალების ინტელექტის აღიარება არ იყო ის დიდებული ფაქტი, რომ მზითვად ატანდნენ შოთა რუსთაველის უკვდავ «ვეფხისტყაოსანს» (ამგვარი ტრადიცია ცნობილი იყო ყველა სოციალურ ფენაში)?

ხალხური შემოქმედების ზოგიერთი ჟანრი მთლიანად ქალებს განეკუთვნებოდათ. ქალების შემოქმედების ნაყოფია საწესო და საავკენო «იავნანას» მომხიბლავი ჰანგი, უაღრესად ნაზი მელოდია და მაღალმხატვრული ტექსტები. ქალებმა შექმნეს პოეტურად სრულქმნილი უძველესი ქართული საძეო სიმღერა «მზე შინა».

ნატურალური მეურნეობის ხანაში ქალები შრომის პროცესში ქმნიდნენ, ასრულებდნენ და ავრცელებდნენ ღრმა სოციალური შინაარსის მქონე, თემატურად მრავალფეროვან, პოეტურად მდიდარ საფეიქრო სიმღერებს, საგმირო სიმღერებით ამხნევებდნენ ვაჟკაცებს. საგმირო ლექსების—სიმღერების შექმნისა და გავრცელების საქმეში ქართველი ქალების როლი შესანიშნავად განსაზღვრა ხალხური შემოქმედების საუკეთესო მცოდნემ და მოამაგემ, დიდმა პოეტმა ვაჟა ფშაველამ: «თემის არსებობა დამოკიდებული იყო ძველად ვაჟკაცებზე, მამაკაცებზე. მათი გამამხნევებელი ბრძოლაში დედაკაცი იყო. დიაცის ქება მამაკაცთათვის დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარია. ვაჟკაცი მუდამ ცდილობდა ქალების საქებარი ყოფილიყო, იმათის დითირამბების ღირსი. ქალები ხშირად საგმირო საქმეთათვის ალექსებდნენ კიდეც, ქება-დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში და წაწლადაც გამოჩენილს, გულადს, მუხლადს, მტრისათვის რისხვის მიმცემს ვაჟკაცს იკიდებდნენ. მხდალს აძაგებდნენ ფერხულში ჩაბმულნი სათემო დღეობის დროს».

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უსაზღვრო სარბიელი მისცა ქალების შემოქმედებით ფანტაზიას. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ხალხური შემოქმედების ბევრი ნიჭიერი შემქმნელი, შემსრულებელი და შემკრები ქალი გამოვლინდა. ზოგიერთმა ჩამწერმა მათი სახელები დავიწყებას გადაარჩინა. მათ რიცხვს ეკუთვნიან ანუსია კარგარეთელი, აშექალ გაბაური, შუქია ჭინჭარაული და სხვები, მათ შორის ფშაველი მოლექსე ბარბალე მინდოდაური. ჩვენ არ ვიცით მისი სრული ბიოგრაფია. ვიცით, რომ იგი დიდი პოეტის ვაჟა ფშაველას თანასოფლელია ვიცით ისიც, რომ ბარბალე მინდოდაური ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა მელექსეობით. ჯერ კიდევ 1887 წელს დავით ხიზანიშვილმა მისი თქმით ჩაწერილი ლექსები შეიტანა დიდი გემოვნებით შედგენილ ფშაური პოეზიის კრებულში.

მის რეპერტუარში შედის პოეტურად ძლიერი, ხატოვანი სატრფიალო ლექსები:

---

ახალი გრძნობა ეუფლება, ახალ გზას ეძებს, აქტიორის მიერ ნაპოვნი გამოსავალი მას არ მოსწონს, არც ძველი მიაჩნია გამოსადეგად. ამიტომაც ზიზღით შეხედავს არყიან ბოთლებს და ჭიქებს, ხელს კრავს მათ, გაისუფთავებს ჩამოსაჯდომ ადგილს და გიტარას უკრავს. ანაზდალ ნასტიას გარედან მოესმის ბურლაკების სიმღერა—ეს მშრომელი ხალხის მოწოდება ახალი ცხოვრებისაკენ. ნასტია წამოხტება და ფანჯარასთან მიირბენს, ნარზე ადის, რომ უფრო კარგად გაიგონოს სიმღერა. ამ მომენტში ფანჯრიდან ძლიერი სინათლე შემოიჭრება. ნასტია იღებს თავის ბარგს და მიდის. მას თან მიყვება შუქი იმ ახალი იმედის გამომსახველად, რომელიც ახლახან ჩაესახა. სინათლის სხივები ეცემიან ღუმელსა და კედელზე სატინის მიერ დიდი ასოებით გაკეთებულ წარწერებს: «ადამიანი», «ყველაფერი ადამიანშია», «ყველაფერი ადამიანისთვისაა». გარეთ ძლიერდება სიმღერა, კიბეებზე კი რწმენით აღსავსე გამომეტყველებით ადის ნასტია და მაყურებელს სჯერა, რომ იგი ახალ ცხოვრებას დაიწყებს და ამ ჯურღმულს არასოდეს დაუბრუნდება. ასეთი ფინალი სპექტაკლს ადამიანის აპოთეოზად აქცევს.



სცენა პიესიდან „ფსკერზე".

ათი წელია რაც ლილი იოსელიანი რეჟისორულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ამ ხნის განმავლობაში იგი გაიზარდა, საკუთარი შემოქმედებითი ენის მქონე საინტერესო რეჟისორად იქცა. მაყურებელი ინტერესით მოელის ახალგაზრდა რეჟისორისაგან ჩვეული უშუალობით, რომანტიკითა და ჯანსაღი ოპტიმიზმით გამთბარ ახალ დადგმებს.

ეთერ დავითაია.



ვერცხლისად თასად მაქცია,
რა ღვინით აგევსებოდი,
ღაფერილი მქნა წითლადაც,
შამსმევდი—შეგერგებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე
რო ხელზე ჩაგედებოდი,
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზედ შაგეჭრებოდი.
ანამც მქნა ვარდი, ყოილი,
ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი,
ან ვიყო მოვის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი,
ან შენი ნანდაური მქნა
გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი,
ანამც ძმა, ვიყო მოწილე
ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

ბარბალე მინდოდაური ახალგაზრდობიდანვე უმღეროდა ხალხის გმირობას, სულის სიმტკიცესა და სამშობლოსათვის თავდადებას.

1887 წელს გამოაქვეყნა დავით ხიზანიშვილმა ბარბალე მინდოდაურის ლექსები:

მომიგონიდით სწორებო,
დამიტიროდი, დედავო,
გამწყრალის შვილის ტირილი,—
რაკი არ შაგიხდებაო.
ლისანს რომ ველარ მივიდე,
ჩემი არ გაიგებაო,
მეც შავდექ მტრისა გზაზედა,
ფერი და ფერი მხდებაო.

ბარბალე მინდოდაურის ლექსები ცხოვრებაზე დაკვირვების, მოვლენათა ღრმად გააზრების, ძველ მავნე ჩვეულებათა კრიტიკის, წარსულში მშრომელი ხალხის ბედუკუღმართობის მაღალ პოეტურად წამოსახვის ნიმუშებია. ეს ლექსები ქართველი ქალის მაღალი ინტელექტის, მისი ღრმა და ნაზი გრძნობების გამომხატველია.

**ქსენია სიხარულიძე,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.



1



2



3

ეროვნული ბიბლიოთეკა



4

ქართული კულტურის დღესასწაული, საბალეტო-ლოვნების ზეიმი,—ასეთი შეფასება მისცეს მაყუ-ბელმა და პრესამ ზ. ფალიაშვილის სახელობის ილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატ-ა ახალ საბალეტო სპექტაკლს „ოტელოს".

სპექტაკლის ავტორია საბჭოთა საბალეტო ხელოვ-ბის გამოჩენილი წარმომადგენელი, სსრ კავშირის ალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი, მუსიკა შექმნა ლოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზი-ორმა ა. მაჭავარიანმა, სპექტაკლი მხატვრულად აფორმა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერი- და ბალეტის თეატრის მთავარმა მხატვარმა ვირსალაძემ.

# ოტელო

1. სცენა პირველი მოქმედებიდან. ოტელო — ვ ტანგ ჭაბუკიანი, დეზდემონა — ვერა წიგნაძე.
2. მავრიტანული ცეკვა.
3. სცენა მესამე მოქმედებიდან. ოტელო — ვ. ჭა კიანი, იაგო — ზ. კიკალეიშვილი.
4. სცენა მეორე მოქმედებიდან.
5. ფინალი. ოტელო — ვ. ჭაბუკიანი, დეზდემონ ვ. წიგნაძე.

ფოტოსურათები

ვ. ჯეირანაშვილისა

5



«ალგკაფრთოვანა... შესანიშნავმა ქართულმა ხე-ლოვნებამ, რომლის უბრწყინვალესი ნიმუშია ახალი ბალეტი «ოტელო», ჩვენ იგი მიგვაჩნია ერთ-ერთ საუკეთესო ბალეტად, რომელიც კი ოდესმე გვინა-ხავს»

ჩინელი მწერლები აი უ და ჯოუ ძე-ფუ.

მეტისმეტად მორიდებული გოგონა ოდესმე გამოჩენილი მეცნიერი, სახელოვანი იურისტი გამოვიდოდა,

... თინამ კარგად იცის მაგალითის ძალა, საქმისადმი სიყვარულის აღძვრის ძალა და თავგამოდებით უნერგავს თავის სტუდენტებს მეცნიერების სიყვარულს, გატაცებით უხსნის მათ საბჭოთა სისხლის სამართლის არსსა და დანიშნულებას.

ამიტომ უყვართ სტუდენტებსაც თავისი მასწავლებელი, რომლის ყოველ სიტყვაში ყოველ მოქმედებაში გულისხმიერი ადამიანის უსაზღვრო სითბო და მზრუნველობა გამოსჭვივის. მის ლექციაზე შეუძლებელია სხვა რამეზე იფიქრო და გინდა სულ უსმინო პროფესორის მშვიდ, დამაჯერებელ ხმას. მასში იგრძნობა, რომ მეცნიერი მზად არის ბოლომდე მოახმაროს თავისი დიდი ცოდნა ყველას, ვისაც ცხოვრების მიზნად მეცნიერების ულრანებში ახალი გზის გაკაფვა დაუსახავს.

მაგრამ თინას მარტო მისი მოწაფეები და კოლეგები როდი სცემენ პატივს. მას იცნობს და აფასებს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა. ტყუილად როდი აირჩია იგი ხალხმა მესამედ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ტყუილად როდი იქნა არჩეული პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის სექციის თავმჯდომარის მოადგილედ. სისხლსავსე და შინაარსიანია პროფესორ თ. წერეთლის ყოველი დღე, ყოველი საათი: მას დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელობა, ამავე დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი სამართლის ყველა კოდექსისა და სისხლის სამართლის პროექტის შემმუშავებელი კომისიების წევრია. თინას ხშირად მიმართავენ კოლეგები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. ეკითხებიან, სთხოვენ რჩევას, აზრს ამა თუ იმ ნაწარმოებსა ან მოვლენაზე, რომელიც ოდნავ მაინც მნიშვნელოვანია იურიდიული მეცნიერებისათვის. ამას წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ თ. წერეთელს სარეცენზიოდ გამოუგზავნა სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების პროექტი, რაზეც სულ მოკლე ხანში ჩვენი მეცნიერის ვრცელი და ამომწურავი პასუხი მიიღო.

— ზოგჯერ გწყინს კიდეც, რომ დღელამეში მხოლოდ ოცდაოთხი საათია,—სიცილით სთქვა ერთხელ თინამ და ცოტახნის დუმილის შემდეგ სერიოზულად დაუმატა,—როცა ხედავ ჩვენი ადამიანების გრანდიოზულ წარმატებებს, ჩვენი მეცნიერების ისეთ საკაცობრიო მნიშვნელობის გამარჯვებას, როგორიც თუნდაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვებაა, მერწმუნეთ ისეთ ძალასა და ენერგიას გრძნობ, იმდენი ახალი რამის შექმნა და გაკეთება გსურს, რომ ნამდვილად ნანობ, რომ ასე ცოტა დროა შენს განკარგულებაში.

ჭეშმარიტად, დრო რომ ყველაზე ძვირფასი ფაქტორია, ამის შესახებ აშკარად მეტყველებს თვით პროფესორ თ. წერეთლის ყოველდღიური ცხოვრება, მისი ოცდაათი მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკვე გამოქვეყნებულია.

აი ახლაც, ეს-ესაა თეატრიდან დაბრუნდნენ თინა და მისი მეუღლე, ცნობილი იურისტი ვლადიმერ მაყაშვილი. ცოლ-ქმარი სპექტაკლის იდეას გაუტაცია და ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ. თინას დღეს კიდევ აქვს საქმე. მან ამ საღამოს უნდა მოასწროს და მისწეროს პასუხი თავის კორესპონდენტებს იმ წერილებზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან იღებს...

მეცნიერთა სახლში მეორე სართულის ერთერთი ფანჯრიდან დიდხანს გამოკრთის სინათლე და მოსჩანს მაგიდაზე დახრილი ქალის ჭაღარა თავი...

და თუ ასეთ უდროოდროს მიადექით მის კარს, მიუხედავად გვიანი ღამისა, თქვენ აქ შეგხვდებიან გულითადად, ისეთი ადამიანური უბრალოებითა და ქართული სტუმართმოყვარეობით, რომ ამის დავიწყება შემდეგ უკვე შეუძლებელი ხდება. როცა დაემშვიდობებით მასპინძლებს და გულგამთბარი ქუჩაში გახვალთ, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ მოხედოთ უკვე ნაცნობ, განათებულ ფანჯარას, დარწმუნებულმა, რომ იქ კიდევ დიდხანს, დიდხანს ენთება შუქი.

**ა. კუსრაშვილი.**

---

**აღზრდის თემაზე**



## რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს

ბევრმა მშობელმა არც კი იცის, რომ ბავშვის აღზრდა სულ ჩვილი ასაკიდან, დედის პირველი ალერსიდან, პირველი ნანადან იწყება. ის რაც პირველ წლებში ისახება, უფრო მყარია,—ამბობდნენ პედაგოგიური მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლები: უშინსკი, მაკარენკო, გოგებაშვილი.

მარტო ალერსი და სიყვარული საკმარისი როდია ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი—ახალი ადამიანის აღსაზრდელად.

პირველი სამი წელი ბავშვის სწრაფი ზრდისა და განვითარების პერიოდია. ზოგი მშობელი ამას ანგარიშს არ უწევს და ხშირად ასე მსჯელობს:—«ჯერ ხომ პატარაა, არა უშავს, იცელქოს, გაიზრდება და დაჭკვიანდება».

ცნობილია, რომ პირველ წლებში ჯანსაღ ბავშვს ბევრი სძინავს. მაგრამ, როცა რეჟიმი ირღვევა, ის მოუსვენრობს, ტირის. ამიტომ საჭიროა თვალყური ვადევნოთ, რომ ბავშვი თავის დროზე იძინებდეს და იღვიძებდეს. ძილის წინ დაუშვებელია ხმაურიანი თამაშობანი, საშიში ზღაპრების მოყოლა, ბავშვების დაშინება საფრთხობელებით. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ხშირად იღვიძებს ღამით, ყვირის—«მეშინია», თხოულობს დედასთან საწოლში გადასვლას. დედა კი ბავშვს დასამშვიდებლად სურვილს უსრულებს, რითაც შეცდომას ჩადის. ჯერ ერთი, ჰიგიენურად დაუშვებელია სხვის საწოლში ბავშვის გადაყვანა, მეორეც, ბავშვს ინსტიქტურად უმუშავდება ცუდი ჩვევა—იღვიძებს ყოველ ღამე და თხოულობს დედას.

ბავშვის ძილი ირღვევა მკვეთრი სინათლით, თუ იგი თვალებში ხვდება მას, და ხმამაღალი ლაპარაკითაც. ძილის წინ ბავშვის ტვინზე გამაღიზიანებლად მოქმედებს აგრეთვე რადიოსა და ტელევიზორის ხმაური, ღამით კინოსეანსებზე დასწრება.

როცა ძილის წინ ბავშვს დედა ძუძუს მოაწოვებს, შემდგომ ის ველარ შეძლებს უამისოდ დაძინებას. როცა ღამით ატირებულ ბავშვს დედა დასამშვიდებლად ძუძუს აძლევს ან ხელში აიყვანს, ეს ნერვულ სისტემაზე კვალს ტოვებს და ბავშვი მეორე ღამესაც იმასვე მოითხოვს.

ბავშვში ადრეული წლებიდანვე მუშავდება სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევებიც. თუ 3—4 წლის ბავშვს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია პლისეცკაია საბჭოთა საბალეტო ხელოვნების სახელგანთქმული წარმომადგენელია. მისი ბრწყინვალე ტალანტი, ცეკვის საოცარი ტექნიკა ხიბლავს და აჯადოებს მაყურებელს.

ნოემბერში მაია პლისეცკაია, სსრ კავშირის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტების ჯგუფთან ერთად თბილისს ეწვია. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მ. პლისეცკაიამ იცეკვა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო პარტია ოდეტა-ოდილია პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბაში". მისი პარტნიორი იყო დიდი თეატრის ბალეტის ახალგაზრდა ნიჭიერი სოლისტი ნ. ფადეეჩევი.

სურათზე: მაია პლისეცკაია და ნ. ფადეეჩევი „გედების ტბაში".

ფოტო გ. სიმონიანისა.



